

ფინანსური ანგარიშგება


შპს „ჰიდროსკანდ“


(ს/კ 404988581)

29 სექტემბერი 2025

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება -----	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები -----	6


 /დირექტორი/


 /მთავარი ბუღალტერი/

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენ.	31-12-24	31-12-23	31-12-22
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	2,303,751	1,992,075	1,702,833
არამატერიალური აქტივები		16,678	18,777	15,211
სხვა გრძელვადიანი აქტივები		791	9,333	13,108
		2,321,220	2,020,185	1,731,152
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგი	6	4,198,474	2,959,644	2,992,377
გადახდილი ავანსები		67,617	31,777	102,939
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	233,469	168,689	270,478
ფული და ფულის ექვივალენტები	8	233,184	345,666	198,533
სხვა მიმდინარე აქტივები		0	0	44,209
		4,732,744	3,505,776	3,608,536
სულ აქტივები		7,053,964	5,525,961	5,339,688
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		500,000	500,000	500,000
გაუნაწილებელი მოგება		5,574,151	4,306,633	3,505,765
		6,074,151	4,806,633	4,005,765
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული სესხები და ლიზინგები	9	72,461	443,601	713,671
		72,461	443,601	713,671
მოკლევადიანი ვალდებულებები				
გადასახადები		48,921	100,834	0
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	858,431	174,893	620,252
		907,352	275,727	620,252
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		7,053,964	5,525,961	5,339,688

 /დირექტორი/

 /მთავარი ბუღალტერი/


სრული შემოსავლის ანგარიშგება				
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
	შენ.	2024		2023
შემოსავალი	11	8,271,140		6,706,297
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(3,311,578)		(2,800,583)
საერთო მოგება		4,959,562		3,905,714
სხვა შემოსავალი		-		-
გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	12	(2,281,744)		(1,516,850)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,007,958)		(1,122,726)
ცვეთა და ამორტიზაცია		(385,930)		(351,061)
საოპერაციო მოგება		1,283,930		915,077
წმინდა საპროცენტო ხარჯები		(33,332)		(58,421)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება (ზარალი)		(26,979)		(44,153)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		43,899		(11,635)
მოგება (ზარალი) დაზღვევამდე		1,267,518		800,868
მოგების გადასახადის ხარჯი		-		-
მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)		1,267,518		800,868

 /დირექტორი/


 /მთავარი ბუღალტერი/

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება			
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
		გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბრისთვის		3,505,765	4,005,765
ზრდა (+)		800,868	800,868
შემცირება (-)		-	-
2023 წლის 31 დეკემბრისთვის		4,306,633	4,806,633
ზრდა (+)		1,267,518	1,267,518
შემცირება (-)		-	-
2024 წლის 31 დეკემბრისთვის		5,574,151	6,074,151

ფულადი ნაკადების ანგარიშგება			
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
	2024		2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	817,983		591,275
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(556,273)		(220,934)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(328,995)		(203,173)
ცვლილება ფულისა და ფულის ექვივალენტებში	(67,285)		167,168
სავალუტო კურსის ეფექტი	(45,197)		(20,035)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	345,666		198,533
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	233,184		345,666



/დირექტორი/



/მთავარი ბუღალტერი/

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჰიდროსკანდ“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 25 აპრილს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია თბილისის რეგ. ცენტრი ვაკე-საბურთალოს გამგეობის მიერ საიდენტიფიკაციო ნომერი 404988581. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა მძიმე ტექნიკის ნაწილებით და აქსესუარებით ასევე ჰიდრავლიკური მილებით და მათი კომპონენტებით.

შპს „ჰიდროსკანდ“ საქართველოს ბაზარზე ახდენს 10,000-მდე დასახელების საქონლის იმპორტს, ესენია: ჰიდრავლიკური მილები, რეზინის მილები, ფიტინგები, პრესჰილზები, საპოხი მოწყობილობები, ზეთები, ხაშუთები, შლანგები, ნავთობის რეზინის მილები, ჰაერის მილები და სხვა. კომპანია აღნიშნული პროდუქტების იმპორტს ახორციელებს ძირითადად ესტონეთიდან და ჩეხეთიდან.

კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით გააჩნდა თორმეტი ფილიალი-საწყობი, შესაბამისად, შემდეგ ქალაქებში: თბილისი ოთხი ფილიალი, ბათუმი, ზუგდიდი, ზესტაფონი, თელავი, რუსთავი, ფოთი, ქუთაისი, ხაშური.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი. #8. ბინა #27.

2024 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის წილის მფლობელები არიან:

- 404883729, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯეორენტი 30%;
- 10669454, სააქციო საზოგადოება Hydroscond AS, ესტონეთი - 35%;
- 556073-8170, Hydroscond Group Holding AB, შვედეთი - 35%.

კომპანიის დირექტორია როინ გიგბერია. საწესდებო კაპიტალი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის და 1 იანვრისთვის შეადგენს 500,000 (ხუთასი ათასი) ლარს.


2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის თანამშრომლების რაოდენობა იყო 51 ადამიანი.

2. მომზადების საფუძველი


კომპანიის წინამდებარე 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისთვის შესაბამისად.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში, თანხები დამრგვალებულია უახლოეს მთელ რიცხვამდე.

წინამდებარე ანგარიშგება მისი წარდგენის მომენტში არ არის დამტკიცებული კომპანიის პარტნიორ(ებ)ის მიერ პარტნიორთა კრებაზე. კომპანიის პარტნიორებს უფლება აქვს წინამდებარე ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის, ანგარიშგების გამოშვების შემდგომად.



/დირექტორი/



/მთავარი ბუღალტერი/

3. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინები და განმარტებები

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვას ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე. აქტიურია ბაზარი, სადაც მოცემული აქტივით ან ვალდებულებით ოპერაციები საკმარისად ხშირად და საკმარისი მოცულობით სრულდება, რაც ფასების შესახებ ინფორმაციის მოპოვების საშუალებას იძლევა მუდმივად. იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ივაჭრება აქტიურ ბაზარზე დგინდება შესაბამის აქტივზე ან ვალდებულებაზე დადგენილი ფასისა და რაოდენობის ნამრავლით. აღნიშნულს ადგილი აქვს მაშინაც, თუ ბაზარზე ვაჭრობის ყოველდღიური ნორმა არ არის საკმარისი, რათა მოიცვას მთლიანად გასაყიდად განთავსებული რაოდენობა და შეკვეთების რაოდენობის განთავსებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთეულის კოტირებულ ფასზე.


აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.


ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია ადგენს საკუთარი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის ტიპს თავდაპირველი აღიარებისას.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარებზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპრიცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

 /დირექტორი/

 /მთავარი ბუღალტერი/

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, რომელთა ვადიანობა არის 3 თვემდე. 3 თვეზე მეტი ვადით შეზღუდული სახსრები არ ჩაირთვება ფულში და ფულის ეკვივალენტებში.

ძირითადი საშუალებები**ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება**

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ბ) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

გ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	30 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი

_____/დირექტორი/

_____/მთავარი ბუღალტერი/

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალურ აქტივებს წარმოადგენენ სააღრიცხვო პროგრამები (7 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადით). არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების ზარალის თანხით. არამატერიალური აქტივები ამორტიზდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კვალიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკის და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის, ისე რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებს.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახადები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შემენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილის მეთოდით, საწყობების მიხედვით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას არ ერიცხება პროცენტი. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

/დირექტორი/

/მთავარი ბუღალტერი/

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სესხები

საპროცენტო ხარჯი აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაბეგვრა


საგადასახადო ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისგან. კომპანიის მიმდინარე გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.


შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს, ხოლო როდესაც მყიდველს გააჩნია საქონლის უკან დაბრუნების უფლება, კომპანია გადაავადებს შემოსავლის აღიარებას იმ დრომდე, სანამ საქონლის დაბრუნების ვადა არ ამოიწურება. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

 /დირექტორი/

 /მთავარი ბუღალტერი/

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები


საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.


ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას. ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს: გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით), კანონმდებლობიდან ან სხვა სამართლებრივი ქმედებიდან. კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც: წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს და შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

 /დირექტორი/

 /მთავარი ბუღალტერი/

კომპანიას სასამართლოში შეტანილი აქვს სარჩელები, კომპანიას აქვს სასამართლო დავები იმ პირებთან ვისაც დარღვეული აქვთ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, თუმცა აღნიშნული თანხა არ არის არსებითი.

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.


2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:


საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306

4. საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გათვალისწინებით, რაც გულისხმობს რომ კომპანიას უახლოეს მომავალში გადაწყვეტილი არ აქვს თავისი საქმიანობის ლიკვიდაცია ან არსებითი შეკვეცა, რაც თავისმხრივ გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების შესრულებას საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობის დროს.

 /დირექტორი/

 /მთავარი ბუღალტერი/

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

5. ძირითადი საშუალებები

გადასახადების დასახელება	ფინანსური აღმწერლობა	კონტინენტები	სხვა და სხვა იხმარება	საბუღალტრო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება 01.01.2023	779,535	178,639	451,108	787,351	48,461	2,600,427
შემოსვლა	138,863	31,537	261,441	0	0	608,862
გასვლა	0	0	0	(30,935)	0	(30,935)
ისტორიული ღირებულება 31.12.2023	918,395	210,176	712,549	756,416	48,461	3,178,353
ისტორიული ღირებულება 01.01.2024	918,395	210,176	712,549	756,416	48,461	3,178,353
შემოსვლა	1,029,663	466,489	665,604	912,259	0	3,762,882
გასვლა	(834,922)	(204,525)	(541,620)	(909,468)	0	(3,092,357)
ისტორიული ღირებულება 31.12.2024	1,113,136	472,141	836,533	759,207	48,461	3,848,877
ცვლილება	355,348	65,375	43,549	187,105	28,815	897,594
დაგროვილი ცვლილება 01.01.2023	86,401	32,110	53,282	21,546	9,430	288,683
ცვლილება	0	0	0	0	0	0
გასული ძირითადი საშუალებების ცვლილება	441,749	97,485	96,831	208,651	38,245	1,186,277
დაგროვილი ცვლილება 31.12.2023	441,749	97,485	96,831	208,651	38,245	1,186,277
დაგროვილი ცვლილება 01.01.2024	98,923	38,713	59,909	77,506	9,430	383,832
ცვლილება	0	0	0	(24,983)	0	(24,983)
გასული ძირითადი საშუალებების ცვლილება	540,672	136,198	156,740	261,174	47,675	1,545,126
დაგროვილი ცვლილება 31.12.2024	476,646	112,691	435,524	547,765	10,216	1,992,075
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	572,464	335,943	462,659	498,033	786	2,303,751
საბალანსო ღირებულება 31.12.2024						

 /დირექტორი/

 /მთავარი ბუღალტერი/

6. მარაგები			
	<u>2024.12.31</u>	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>
მზა პროდუქცია	4,080,309	2,774,390	2,817,662
სხვა მარაგი	118,165	185,254	174,715
სულ მარაგები	4,198,474	2,959,644	2,992,377

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები			
	<u>2024.12.31</u>	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>
მოთხოვნები მიწოდებიდან	233,469	168,689	270,478
გადახდილი ავანსები	67,617	31,777	102,939
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	44,209
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	301,086	200,466	417,626

8. ფული და ფულის ექვივალენტები			
	<u>2024.12.31</u>	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>
ნაღდი ფული სალაროში	12,691	65,978	69,927
ფულადი სახსრები რეზიდენტ ბანკებში	220,493	279,688	128,606
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	233,184	345,666	198,533

9. მიღებული სესხები და ლიზინგები (ფინანსური იჯარა)			
	<u>2024.12.31</u>	<u>2023.12.31</u>	<u>2022.12.31</u>
სესხი დამფუძნებლისგან (Hydroscand Group AB)	0	333,234	533,614
ლიზინგები (ფინანსური იჯარა)	72,461	110,367	180,057
სულ სესხები და ლიზინგები	72,461	443,601	713,671


/დირექტორი/


/მთავარი ბუღალტერი/

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები			
	2024.12.31	2023.12.31	2022.12.31
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	716,404	99,431	569,641
გადახდილი ხელფასები	58,132	27,440	10,161
მიღებული ავანსები	83,895	28,224	30,106
სხვა ვალდებულებები	48,921	120,632	10,344
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	907,352	275,727	620,252


11. შემოსავალი		
	2024	2023
შემოსავალი რეალიზაციიდან	8,046,336	6,537,626
შემოსავალი მომსახურებიდან	224,804	168,671
სხვა	43,899	
სულ შემოსავალი	8,315,039	6,706,297


12. გაყიდვის და მიწოდების ხარჯები		
	2024	2023
საიჯარო ხარჯი	390,305	292,807
სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული ხარჯი	97,029	92,335
მარკეტინგის ხარჯი	27,268	47,663
სხვა გაყიდვის და მიწოდების ხარჯები	1,767,142	1,084,045
სულ გაყიდვების და მიწოდების ხარჯები	2,281,744	1,516,850

 /დირექტორი/

 /მთავარი ბუღალტერი/

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		
	2024	2023
შრომის ანაზღაურება	273,013	376,854
ოფისის ხარჯი	106,449	156,482
კომუნიკაციის ხარჯი	41,181	36,353
სხვა ხარჯი	587,314	553,037
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,007,957	1,122,726


/დირექტორი/


/მთავარი ბუღალტერი/